PDF Eraser Free

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „დეკორატიული მებაღეობა“ ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში სსიპ -შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ვიზიტის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე: თეა ლილუაშვილი

**წევრები:**

ინგა ბოჭოიძე

ქეთევან გელაშვილი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

## I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

- [x] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

## II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 05/03/2020-ის N276041 ბრძანების საფუძველზე პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩოდოკუმენტის საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამის „დეკორატიული მებაღეობა“ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლების მოპოვების მიზნით ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2ე-პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შესამოწმებლად განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სენაკის ბაზაზე 2020 წლის 12 მარტს. ვიზიტის დროს შემოწმდა ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი, ჩატარდა გასაუბრებები დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელ პირებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან.

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დასამატებლად წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება იგეგმება ქ. სენაკში (პროფესიული პროგრამების განყოფილება), სადაც მხოლოდ პროფესიული პროგრამები ხორციელდება. პროგრამის განხორციელებაში არ არის ჩართული აკადემიური სასწავლო პერსონალი. შესაბამისად, სასწავლო უნივერსიტეტის მატერიალური და ადამიანური რესურსების გადამოწმებით დგინდება, რომ უნივერსიტეტის მიერ დასამატებლად წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემთხვევაში, არ იქმნება უნივერსიტეტის მიერ აკადემიური საგანმამათლებლო პროგრამების განხორციელების რისკი და არ მოხდება უმაღლესი საგანმამათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

## IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

*არ დაფიქსირებულა*

## V. არსებობის შემთხვევაში, წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა:

- რეკომენდაცია: ხარისხის მართვის სამსახურსა და პროგრამების განვითარების სამსახურს შორის არსებული ბმის ასახვა დაწესებულების სტრუქტურაში - დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით უნივერსიტეტში მიმდინარეობს რეორგანიზაცია, რომლის დასრულების ვადად ბრძანებით განსაზღვრულია პირველი აპრილი და აღნიშნული ცვლილება აისახება სტრუქტურაში;
- რეკომენდაცია: სენაკის ბაზაზე ქაფისა და წყლის ან ფხვნილის ცეცხლმაქრების დამატება; - ცეცხლმააქრები შეძენილია;
- რეკომენდაცია:პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გადამზადება მოდულური პროგრამების სწავლების თავისებურებების გათვალისწინებით - დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით პროგრამის განმახორციელებელთა უმეტესი ნაწილი 2015 წლიდან არიან ჩართული მოდულური პროგრამების განხორციელებაში, ხოლო რამდენიმე ახლად დამატებული პროფესიული განათლების მასწავლებელი მოდულების განხორციელებას იწყებენ სექტემბრიდან და სწავლების დაწყებამდე ჩაუტარდებათ ტრენინგი;
- B ტიპის გარემო კვლავ განთავსებულია შენობის მესამე სართულზე, თუმცა აღჭურვილია ლეპტოპებით და საჭიროების შემთხვევაში მარტივად შეიძლება A ტიპის გარემოსთან შერწყმა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

## VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*ხარვეზები არ დაფიქსირებულა*

## VII. რეკომენდაციების შეჯამება

- პროფესიულ მოდულებში სასწავლო რესურსების ნაწილში  გრიფირებული სახელმძღვანელოების შესახებ ზოგადი ჩანაწერის ნაცვლად  კონკრეტული ავტორები და სახელწოდებები მიეთითოს, ისე როგორც მოდულის ეს სხვა სახელმძღვანელოებზე აქვთ მითითებული.
- გასწორდეს მოდულში ჩანაწერი განხორციელების ადგილის შესახებ.
- სწავლის შედეგის განმეორებით დადასტურებისთვის განისაზღვროს რა ვადებში (თუ მოდული არ არის სხვა მოდულის წინაპირობა) და რა ფორმით მიმართავს პროფესიული სტუდენტი განმეორებითი შეფასების მოთხოვნით, რაც დაეხმარება დაწესებულებას შეფასების პროცესის და რესურსების ორგანიზებაში;
- შეფასების რეგულაციაში განისაზღვროს ვინ, რა ფორმით, რა ვადაში და რა საშუალებებით ახდენს პროფესიული სტუდენტის ინფორმირებას შეფასების შედეგების შესახებ.
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის ხელმისაწვდომობის მიზნით, პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო B ტიპის გარემო განთავსდეს შენობის პირველ სართულზე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის  ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

## VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | დეკორატიული მებაღეობა |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კალიფიკაცია მებაღეობაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0812 |
| პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები | შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 4 მარტის N20 დადგენილება |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ქ.ზუგდიდი , ჯანაშიას N14<br>ქ.სენაკი მშვიდობის ქ.N192 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური/დუალური |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის  ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*(სენაკი, 2020)*

PDF Eraser Free

| | |
|---|---|
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა | ქ.ზუგდიდი , ჯანაშიას N14 -20 (დუალური)<br>ქ.სენაკი მშვიდობის ქ.N192 – 30 (მოდულური) |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | 15 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 140 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 85 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 170 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 115 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

## VIII. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | ☐ | ■ | ☐ | ☐ |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | სრული 3 | სრული 3 | მეტწილი 2 | |
| 2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი | სრული 3 | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | სრული3 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free



## პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.**

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული პროგრამა ეფუძნება დასაბუთებას, დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით დაწესებულება დაეყრდნო ზუგდიდის და სენაკის მუნიციპალიტეტებიდან სპეციალისტების მოთხოვნას (მოწერილობას), ასევე აპლიკანტების მხრიდან პროფესიულ პროგრამაზე მოთხოვნას. საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და 2018-2024 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმას. ასევე უნივერსიტეტის 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს შრომის ბაზარზე ორიენტირებული თანამედროვე, ხარისხიანი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვულ წინაპირობებს: საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, ხოლო საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, სადაც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები - საბაზო განათლება. პროფესიულ პროგრამებზე აპლიკანტთა ჩარიცხვა ხორციელდება პროფესიული ტესტირების შედეგების და დაწესებულებაში დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე, ხოლო დუალურ პროგრამაზე კონკურსის და დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტების ჩარიცხვა ხდება პროფესიის მოსინჯვის საფუძველზე.დაწესბულება იცავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის N152/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულებით“ დადგენილი წესით და შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულ პროცედურებს.

პროგრამის ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის განსაზღვრისას მხედველობაშია მიღებული სასწავლო და დამხმარე ფართების რაოდენობა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა. ასევე კონტიგენტის განსაზღვრისას დაწესებულება ითვალისწინებს შრომის ბაზრის და განათლების ბაზრის მოთხოვნებს, დაწესებულება იყენებს სწავლების ორცვლიან რეჟიმს.

პროფესიული პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარს და არ არის შეცდომაში შემყვანი. უნივერსიტეტის წესდებით საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებაზე და მასში ცვლილების განხორციელებაზე უფლებამოსილი ორგანოა აკადემიური საბჭო.

პროგრამა დამტკიცებულია უფლებამოსილი ორგანოს - აკადემიური საბჭოს მიერ. ასევე ცვლილება განხორციელებულია აკადემიური საბჭოს დადგენილებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება  პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის  ჩარჩო დოკუმენტს ,,მებაღეობა“ და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს №170/ნ ბრძანებას „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“. პროგრამას თან ერთვის სასწავლო გეგმები: ინტეგრირებული მოდულების გათალისწინებით ქართულენოვანებისთვის, ინტეგრირებული მოდულების გათალისწინებით არაქართულენოვანებისთვის, არაინტეგრირებული პროგრამისთვის არაქართულენოვანებისთვის, არაინტეგრირებული პროგრამისთვის ქართულენოვანებისთვის, დუალური მიდგომით განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო გეგმა.

ინტეგრირებული მოდულებით განსაზღრული პროგრამისთვის სასწავლო გეგმა მოიცავს სამ სასწავლო წელს, თითოეული სასწავლო წელი გათვლილია 36 სასწავლო კვირაზე. პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა დამოუკიდებელი საათების ჩათვლით არ აღემატება 40 საათს.

პროგრამით განსაზღვრული სასწავლო და საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტისთვის პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავების შესაძლებლობას. სასწავლო რესურსებად გამოყენებულია საშუალო საფეხური გრიფირებული სახელმძღვანელოები.

ინტეგრირებულ მოდულებში, სასწავლო რესურსების სიაში კონკრეტულ გრიფირებულ სახელმძღვანელოებთან ერთად, არის ზოგადი ხასიათის ჩანაწერები „გრიფირებული სახელმძღვანელოები ქართულ ენასა და ლიტერატურაში“, „საშუალო საფეხურის გრიფირებული სახელმღვანელოები გეოგრაფიაში ,“ საშუალო საფეხურის გრიფირებული სახელმღვანელოები ისტორიაში“. არ არის დაკონკრეტებული გარდა კიდევ რომელი  გრიფირებული სახელმძღვანელოები აქვს დაწესებულებას მხედველობაში.

ინტეგრირებულ მოდულებში არის ტექნიკური შეცდომა სენაკის ბაზის მისამართის (მშვიდობის ქ.N192) ნაცვლად მითითებულია ჯანაშიას ქ.#192.

**რეკომენდაცია:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის  ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- პროფესიულ მოდულებში სასწავლო რესურსების ნაწილში  გრიფირებული სახელმძღვანელოების შესახებ ზოგადი ჩანაწერის ნაცვლად  კონკრეტული ავტორები და სახელწოდებები მიეთითოს, ისე როგორც სხვა ეს სხვა სახელმძღვანელოებზე აქვთ მითითებული.
- გასწორდეს მოდულში ჩანაწერი განხორციელების ადგილის შესახებ.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- პროფესიული პროგრამით და მისი დანართებით;
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლოპროცესის მარეგულირებელი წესით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის,შემუშავების ,განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიით (ცვლილების თარიღი 29.02.2020);
- უნივერსიტეტის მისიით, სტრატეგიული განვითარების 2018-2024 წლების და 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმებით;
- პროგრამის დამტკიცების შესახებ აკადემიური საბჭოს დადგენილებით;
- საჯარო რეესტრის ამონაწერით;
- სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის და მისაღებ სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიით;
- წესდებით;
- პროგრამაში ცვლილების შესახებ აკადემიური საბჭოს დადგენილებით;
- დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრებით;
- პროფესიულ პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევის და ჩარიცხვის დოკუმენტაციით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის  ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შეფასება:

- ■ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

   პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:
ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისთვის დაწესებულებას აქვს სრულად აღჭურვილი A ტიპის გარემო და მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ლაბორატორია. პროგრამის დანართით განსაზღვრული ქიმიის ლაბორატორიის აღჭურვილობის აბსოლუტური



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

უმრავლესობა, ბიოლოგიის სწავლებისთვის საჭირო დანართით განსაზღვრული აღჭურვილობის სრული ჩამონათვალი დაწესებულებას აქვს შეძენილი, ხოლო ქიმიის ლაბორატორიისთვის საჭირო ინვენტარი (თერმომეტრი, აბაზანა, დამცავი სათვალე) და ფიზიკის სწავლებისთვის საჭირო ინვენტარი შესყიდვის პროცესშია. დაწესებულებას 2020 წლის 10 მარტს გაფორმებული აქვს შესყიდვის ხელშეკრულება. ხელშკერულების თანახმად აღნიშნული ინვენტარი მომწოდებელმა უნდა მიაწოდოს დაწესებულებას 45 დღის ვადაში. ინტეგრირებული მოდულების განსაზორციელებლად საჭირო რესურსი გათვლილია 15 პროფესიულ სტუდენტზე. ქიმიის ლაბორატორიაში დამონტაჟებულია გამწოვი კარადა.

დაწესებულებას ინტეგრირებული მოდულების განსახორციელებლად კონკურსის წესით ჰყავს შერჩეული განმახორციელებელი პერსონალი. მოდულის განმახორციელებლებთან გაფორმებულია წინასწარი ხელშეკრულებები. პროფესიულ მასწავლებელთა ნაწილმა უკვე გაიარა, ხოლო მეორე ნაწილისთვის დაგეგმილია ტრენინგი ინტეგრირებული მოდულების სწავლებასთან დაკავშირებით. შერჩეულ პროფესიული მასწავლებლების ნაწილს აქვს ინტეგრირებული მოდულის პილოტირებისას აღნიშნული მოდულებით სწავლების გამოცდილება. პროფესიული პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს აქვს სწავლის შედეგების გამომუშავების და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების კომპეტენცია. პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობას.

პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის ხელმძღვანელი.
პროგრამაში განსაზღვრული სასწავლო რესურსები ბეჭდური ან ელექტრონული სახით ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში. ელექტრონული რესურსები ჩაწერილია დისკზე და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. საბიბლიოთეკო რესურსები გამოიყენება პროფესიული მასწავლებლების და პროფესიული სტუდენტების მიერ.
ვინაიდან დაწესებულებას არ აქვს ლიფტი, სასწავლო აუდიტორია და ქიმიის ლაბორატორია განთავსებულია პირველ სართულზე, ხოლო საბიბლიოთეკო რესურსების სსს მქონე პირებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად A ტიპის გარემოში განთავსებულია ბეჭდური ლიტერატურის თითო ეგზემპლარი და 3 ლეპტოპი ელექტრონული რესურსების ხელმისაწვდომობისთვის. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით სენაკის ბაზაზე ამ დრომდე არ ჰყოლიათ სსს მქონე პროფესიული სტუდენტი. დაწესებულებას კონკურსის წესით შერჩეული ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი და ასისტენტი.

პროფესიული პროგრამისთვის შედგენილია ბიუჯეტი და განსაზღვრულია რენტაბელობის ზღვარი. პროფესიულ მასწავლებლებთან გაფორმებულ წინასწარ ხელშეკრულებაში არ არის განსაზღვრული ანაზღაურების განაკვეთი. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით ბიუჯეტის გაანგარიშებისას საკონტაქტო საათების ანაზღაურებად განისაზღვრა 15 ლარი ერთ საკონტაქტო საათში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- პროგრამის დანართით განმახორციელებელი პირების შესახებ;
- პროგრამის განმახორციელებლების შერჩევის დოკუმენტაციით და პირადი საქმეებით;
- პროგრამის განმახორციელებლებთან, ადმინისტრაციასთან , პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით;
- პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნის ბრძანებით და სამუშაო აღწერილობით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- შესყიდვის ხელშეკრულებით;
- ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის და ასისტენტის სამუშაო აღწერილობით და შერჩევის დოკუმენტაციით;
- ბიბლიოთეკართან გასაუბრებით;
- ბიბლიოთეკარის დღიურის და ფორმულარების ჩანაწერებით;
- პროგრამის ბიუჯეტით;

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის 244 დადგენილებით.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის /პროფესიული გადამზადების პროგრამის/მოკლევადიანი ტრენინგ-კურსის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია/წესის შესაბამისად პროგრამების განხორციელების შეფასებას ახორციელებს სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი პროფესიული განათლების განვითარების სამსახურთან აქტიური თანამშრომლობით.

პროგრამების შეფასება ხორციელდება როგორც გამოკითხვის,ასევე ფოკუს ჯგუფებითა და ინტერვიურებით;

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით პროფესიულ მოდულებთან დაკავშირებულ შენიშვნებს რეგულარულად აფიქსირებდნენ მოდულური პროგრამების დანერგვის „გარე მხარდაჭერის“ ექსპერტებთან. დუალური პროგრამის განმახორციელებელი პარტნიორი ორგანზიაციის წარმომადგენლებისგან ჰქონდათ გარკვეული ინიციატივები ჩაჩო დოკუმენტში განსახორციელებელ ცვლილებებთან დაკავშირებით, მაგრამ ინიცირება არ განხორციელებულა ვინაიდან აღნიშნული პროგრამის შესატყვისი ახალი ჩარჩო დოკუმენტი შევიდა ძალაში. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით პროგრამის შეფასებისას გამოვლენილი გარემოებების გათვალისწინებით პროფესიულ პროგრამებში ცვლილებები არ განუხორციელებიათ, ვინაიდან პროგრამები მილევად რეჟიმში ხორციელდება.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის /პროფესიული გადამზადების პროგრამის/მოკლევადიანი ტრენინგ-კურსის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია/წესით;
- ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან გასაუბრებით;
- შევსებული კითხვარებით.

**შეფასება:**

☒შეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

სასწავლო პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად. გარკვეული მიზეზით მეცადინეობის გაცდენის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით, ხდება მეცადინეობის სხვა მოდულით/მასწავლებლით ჩანაცვლება და გაცდენილი საათის შემდეგ აღდგენა. დაწესებულებას ჰყავს ჯგუფი პროფესიულ პროგრამაზე „დეკორატიული მებაღეობა“.დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით ვიზიტის პერიოდამდე პროგრამაში ცვლილება არ განხორციელებულა.

ინტეგრირებული მოდულებით გათვალისიწნებულია სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენება: გონებრივი იერიში, დისკუსია, როლური თამაში, სოკრატეს მეთოდი, ინსცენირება, ტექსტის, ან ვიზუალური მასალის ანალიზი და ინფორმაციის იდენტიფიცირება-სისტემატიზაცია და სხვა, სწავლებისას გათვალისწინებულია ინდივიდუალური და ჯგუფური აქტივობები. ინტეგრირებული მოდულების განმახორცილებელი პირების განმარტებით გეგმავენ აქტიურ ურთიერთთანამშრომლობას სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაში.

სტატუსშეჩერებული სტუდენტისთვის, პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა ხდება ისე, რომ სწავლა განაგრძოს იმ ეტაპიდან რა ეტაპზეც შეიჩერა სტატუსი. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება ამ დრომდე არ ჰქონიათ. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით თუკი კი მობილობა განხორციელდა ისეთ პერიოდში როცა პროგრამის ფარგლებში დასრულებულია სწავლება ცალკეულ სასწავლო კურსებზე/მოდულებზე, ხოლო მობილობის მსურველ პირს აღნიშნული სასწავლო კურსი/მოდული მისი დაწესებულების პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე არ აქვს ბოლომდე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შესწავლილი, სასწავლო უნივერსიტეტი იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული სტუდენტისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შესახებ. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების მიხედვით ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დგება როცა პროფესიულ სტუდენტს:

ა) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება აქვს და რეგულარულად საჭიროებს განსხვავებულ მიდგომებს სწავლებისას და შეფასებისას.

ბ) არ აღენიშნება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, თუმცა გარკვეული მიზეზების გამო(მობილობით გადმოსული, სტატუს აღდგენილი, სხვა ობიექტური გარემოება), გარკვეული დროით საჭიროებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტული სასწავლო გეგმიდან გადახვევას/სპეციალურ სასწავლო პროგრამას.

პროფესიული პროგრამისთვის „დეკორატიული მებაღეობა“ დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „კეთილმოწყობის მართვის ცენტრსა“ და ბათუმის ბოტამიკურ ბაღთან და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ბოტანიკური ბაღების მართვის ცენტრთან“ (დუალური მიდგომით განსახორციელებლად). ასევე გაფორმებული აქვს მემორანდუმი სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივ კოლეჯთან პროფესიულ სტუდენტთა მობილობის ხელშეწყობის მიზნით. ინტეგრირებული მოდულების განხორციელებას დაწესებულება გეგმავს საკუთარ ბაზაზე.

სასწავლო პროცესის უსაფრთხო გარემოში წარმართვის მიზნით ქიმიის ლაბორატორიაში დამონტაჟებულია გამწოვი კარადა. ლაბორატორიას აქვს სველი წერტილი და პრეპარატების შესანახად განთავსებულია სპეციალური კარადა.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- სასწავლო პროცესის ხელმძღვანელთან გასაუბრებით;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით.
- მოდულის ჩანაწერებით;
- პროფესიულ მასწავლებლებთან გასაუბრებით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- ვიზუალური დათვალიერებით;

**2.4.2** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

შეფასების სისტემის ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის უზრუნვეყოფის მიზნით დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების ისნტრუმენტის შემუშავების ფორმა და შეფასების ინსტრუმენტის შეფასების კრიტერიუმები. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით მოდულის განმახორციელებლი პირის მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტი გადის ვერიფიკაციას, სადაც დგინდება/მოწმდება მისი შესაბამისობა მოდულით განსაზღვრულ შედეგების კრიტერიუმებთან, მტკიცებულებებსადა შეფასების მიმართულებებთან.

ვერიფიკაციის პროცედურაში მონაწილეობის ვალდებულება აქვს პროგრამის ხელმძღვანელს/ხელმძღვანელებს/თანახელმძღვანელებს და მოდულის/მოდულების განმახორციელებელ პირებს. რეგულაციის თანახმად მტკიცებულებების შემოწმება განხორციელდება წლის განმავლობაში მინიმუმ ორჯერ. მტკიცებულებები ინახება უწყისის გაფორმებიდან 3 წლის განმავლობაში. დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს მტკიცებულებების აღრიცხვის ფორმა.

პროფესიულ სტუდენტს ინფორმაცია შეფასების თაობაზე მიეწოდება შეფასებამდე მინიმუმ სამი სამუშაო დღით ადრე ზეპირი შეტყობინების ან/და თვალსაჩინო ადგილას განთავსებული განცხადების ან/და სოციალური ქსელის მეშვეობით ან/და სხვა ალტერნატიული წყაროთი.

პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია გამოცდების შედეგებიდან/მოდულების დადასტურებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში მიმართოს რექტორს განცხადებითდა მოითხოვოს მტკიცებულებების გაცნობა და გადასინჯვა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული სტუდენტის მიერ წინაპირობის მქონე მოდულის წინმსწრები მოდულის შეფასებისას შედეგის არდადასტურების შემთხვევაში განმსაზღვრელი სწავლის შედეგების დამატებითი მიღწევის შესაძლებლობას დამატებით ვადაში 1-ჯერ. წინაპირობის არმქონე მოდულების განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს შეუძლია სწავლის შედეგების მიღწევა (განმეორებითი შეფასება) დაადასტუროს პროგრამის დასრულებამდე 1-ჯერ მოდულის განმახორციელებელ პირთან და ადმინისტრაციასთან შეთანხმებულ ვადებში.

დაწესებულებების წარმომადგენლის განმარტებით ამ დრომდე ახდენდნენ შეფასების ინსტრუმენტების შინაარსობრივ შემოწმებას, მტკიცებულებების შემოწმება მოხდა მხოლოდ გარე ვერიფიკატორის მიერ, გამოვლენილი შენიშვნების საფუძველზე გადამუშავდა შეფასების ინსტრუმენტის წარმოდგენის ფორმა და ზეპირი გამოკითხვების და პრაქტიკული სამუშაოს შესრულების პროცესზე დაკვირვების შემთხვევაში, მტკიცებულებების სანდოობის უზრუნველსაყოფად დაემატა დამკვირვებელი.
პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგებს დაწესებულება იყენებს პროფესიულ სტუდენტთა შემდგომი განვითარებისთვის.

**რეკომენდაცია:**

სწავლის შედეგის განმეორებით დადასტურებისთვის განისაზღვროს რა ვადებში (თუ მოდული არ არის სხვა მოდულის წინაპირობა) და რა ფორმით მიმართავს პროფესიული სტუდენტი განმეორებითი შეფასების მოთხოვნით, რაც დაეხმარება დაწესებულებას შეფასების პროცესის და რესურსების ორგანიზებაში;
შეფასების რეგულაციაში განისაზღვროს ვინ, რა ფორმით, რა ვადაში და რა საშუალებებით ახდენს პროფესიული სტუდენტის ინფორმირებას შეფასების შედეგების შესახებ.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- შეფასების ისნტრუმენტის წარმოდგენის ფორმით;
- შეფასების ინსტრუმენტის შეფასების კრიტერიუმებით;
- მტკიცებულებების აღრიცხვის ფორმით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- ინტერვიურებით.

შეფასება:

☐შეესაბამება

☒მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

**ექსპერტთაჯგუფისშეფასება პროგრამაზემოთხოვნილიპროფესიულსტუდენტთაზღვრულირაოდენობისშესახებ:**

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება☐

*იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.*

| | |
|---|---|
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან,პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითიმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | |

**დასაბუთება**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

.....
.....
.....
.....
.....

## X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

08.04.2020
თარიღი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის  ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: